152
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

პირველ აპრილიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ხუთი |5| მანათი.

სათავად-აზნაურო თეატრი
ორშაბათს, 31 მარტს,
გაიმართება წარმოდგენა საქვეყნოდ განთქმულის
ერთად-ერთი ლიუმიერის სინემატოგრაფისა
მოძრავი ცსოველი ფოტოგრაფიის სურათები
სამის განყოფილებიდან
!!!სურათები გვირგვინის კურთხევისა!!!
ყველგან მოწონებული იყო ეს სურათები.
ბილეთები თეატრის კასაში იყიდება.
დირექცია ლიუმიერის სინემატოგრაფისა.
(2—1)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—60)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორია'ში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

კბილის ექიმი
ვ. ი. ჭიჭინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ახალი ამბავი

⁂ **ანგარიში ქალაქის შემოსავალ-გასავლისა** 1896 წლის განმავლობაში. შარშანდელის წლის ხარჯთ-აღრიცხვით, ქალაქს შემოსავალი უნდა ჰქონოდა 1,158,614 მანათი და ამოდენივე გასავალი; ხოლო ნამდვილად შემოსავალი იყო 1,165,513 მანათი და 43 კაპ. ე. ი. 6899 მანათითა და 43 კაპეიკით მეტი, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ამ შემოსავლიდამ დაიხარჯა 1,153,088 მანათი და 74 კაპ. ე. ი. 12,414 მანათი და 69 კაპეიკით ნაკლები, ვიდრე დანიშნული იყო. ამ სახით, შარშანდელმა წელმა, ყოველისავე ხარჯის გასტუმრების შემდეგ, გადმოსცა წლევანდელის წლის შემოსავალს 12,414 მანათი და 69 კაპ. უპირველესი წყარო ქალაქის შემოსავლისა არის უძრავ ქონებათა დაფასების გადასახადი. ამ წყარომ შარშან ქალაქის კასას მისცა 280,301 მანათი და 42 კაპ. საბჭოს მოლოდინით კი უნდა ყოფილიყო 304,265 მანათი და 91 კაპ მაშასადამე, ამ გარდასახადში ქალაქმა ვერ მიიღო 23,964 მანათი და 49 კაპ. მეორე უმთავრესი წყარო ქალაქის შემოსავლისა არის მილის წყალი. აქედამ შარშან უნდა აეღო ქალაქს 212,142 მანათი, როგორც ელოდებოდა ხარჯთა აღრიცხვით; ხოლო ნამდვილი შემოსავალი გამოიხატა 218,656 მანათში, ე. ი. მილის წყალმა მისცა ქალაქს 6514 მანათი მეტი მოსალოდნელზედ. ეჭვი არ არის, რომ ეს ორივე წყარო თითქმის ერთ-ნახევარზედ მეტს მისცემდა ქალაქის თვითმმართველობას, რომ ჯეროვანად იყოს დაყენებული სახლების დაფასების საქმე და მილის წყალის მდგომარეობა, საუბედუროდ, ერთიცა და მეორეც ძლიერა კოჭლობენ. უმეტესი ნაწილი ქალაქის შენობებისა დაფასებულია ნახევარზედ მაინც ნაკლებად და ამიტომ, რასაკვირველია, ხარჯსაც ნაკლებათ იხდიან და მათნი პატრონნიც ნაკლებად ასრულებენ თავიანთს მოქალაქობრივს მოვალეობას წინაშე ქალაქისა, რომელიც მათ ხელს უწყობს, რომ შენობათა შემოსავალმა წლითი-წლობით იმატოს, რადგან თვით ქალაქი იზრდება და თავის ზრდითა და წარმატებით იზიდავს თავისკენ ფულიანს ხალხსა ქალაქში დასაბინავებლად. რაიცა შეეხება მილის წყალს, აქაც ერთი საკვირველი გარემოება აჭკვიატებია ამ დარგს ქალაქის მეურნეობისას და ვერავითარი საშუალებაა აქამომდე ისეთი, რომ ეს მავნებელი გარემოება დათრგუნვილ იქმნას. აი რაში მდგომარეობს საქმე. ავჭალის მაშინა ჰგზავნის ქალაქში ორთაშუა რიცხვით დღეში 400,000 ვედრო წყალსა. აქედამ ნახევარი იყიდება ხუთი ვედროს ანგარიშით ერთ კაპეიკზედ, ხოლო ნახევარი ოთხი ვედროს ანგარიშით. მთლად, რომ იღებდეს ქალაქი ფასს დახარჯულის წყალისას, პირველის ნახევრისა უნდა აეღო დღეში 400 მანათი, ხოლო მეორისა 500 მანეთი დღეში, ანუ სულ 900 მანათი, რაიცა წელიწადში დაიჭერს 328,500 მანათს; მაშინ როდესაც შარშან ქალაქმა მიიღო მხოლოდ 212,142 მანათი ე. ი. 116,358 მანათით ნაკლები. უეჭველია, თვითმართველობას არა აქვს შესაფერი საზომები წყალისა და ამოდენა ფულსა ჰკარგავს ყოველ-წლივ. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება საფინანსო კომისიამ, მაგრამ ჯერ-ჯერობით გამგეობას ამისთანა ბუჩულებისათვის, ეტყობა, ვერ მოუცლია!..

⁂ **კიდევ ქალაქის ამომრჩეველთა სიების გამო.** ამას წინად ჩვენს გაზეთში დასტამბული იყო *), რომ ტფილისის გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა საბჭოს მოუთხოვნია ცნობები ქალაქის გამგეობისაგან იმის შესახებ, თუ რამდენი ხანია I და II გილდის ვაჭრის წოდებაში იმყოფებიან ის პირნი, რომელნიც ამომრჩეველთა სიებში არიან აღნიშნულნი და რით ვაჭრობენ ისინი.

აღმოუჩნიათ, რომ სიების №2383-დამ ვიდრე № 2774-მდე, ე. ი. თითქმის 400 კაცია ჩარიცხული, რომელნიც გილდის ბაჟს იხდიან მაშინ, როდესაც ამომრჩეველთა უფლება მხოლოდ იმათ ეძლევათ, ვინ გილდიის ბაჟსაც იხდიან და ვაჭრობენ კიდეცა ქალაქში ამ საბუთის ძალით („სამოქალაქო დებულება“—მუხ. 24 თავ. 2).

ამის გამო, როდესაც საბჭომ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას საჭირო ცნობები, გამგეობამ მოახსენა საბჭოს—ამ ცნობის შეკრება საძნელო არისო(??), მაგრამ საბჭომ ამ შეიწყნარა ეს მიზეზი და დაავალა გამგეობას, მაინცა და მაინც წარმოადგინოს ცნობები.

ამ ნაირად, 400-მდე ისეთი პირია ჩარიცხული სიებში, რომელთა უფლებებიც საეჭვონი არიან.

ახირებულია ქალაქის გამგეობის საქციელი, რად არ მიაქცია ყურადღება „სამოქალაქო დებულებას“ და საქმე გააძნელეს და გააჭიანურეს. მომავალში მაინც, იმედია, გამგეობა გამოფხიზლდება, საბჭოს მინდობილებას ბეჯითად შეასრულებს და საზოგადოდ სიების შეცდომებს შეასწორებს. კარგი იქნებოდა, სამოქალაქო საქმეთა საბჭოს ისიც მიენდო გამგეობისათვის, რომ ამომრჩეველთა სიები „უბნობით“ შეედგინა.

⁂ **ქალაქის სავაჭრო პოლიციის გამო.** გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა საბჭომ უარ-ჰყო ქალაქის საბჭოს განაჩენი იმის შესახებ, რომ „სავაჭრო პოლიის“ ზოგიერთა წესრიგი შეცვლილ იქმნას და დაადგინა: „პოლიცია“ დარჩეს ძველის წესრიგისა და გვარად.

ქალაქის გამგეობა დიდად იმედოვნებდა ახალის „პოლოციის“ მოლოდინით და დიდს დახმარებას მოელოდა მათგან არჩევანების დროსაც, მაგრამ იმედები გაუმტყუნდა... საბჭომ ღირსეულად დააფასა მათი ხერხები და ასეც უნდა მომხდარიყო ქალაქის ინტერესების დასაცველად.

⁂ **„შრომის-მოყვარეობის სახლთა საზოგადოების“ წესდების გამო.** ბ. ტფილისის გუბერნატორისათვის თხოვნა მიურთმევიათ გ. ვ. კოლიუბიაკინისას, პ. ი. ვედენეევისას და ს. ე. ტარანოვსკისას და თხოულობენ მალე დამტკიცდეს „საზოგადოების“ წესდება, რომლის პროექტიც ამას წინად უკვე წარუდგენიათ. ხსენებულ მანდილოსანთ განზრახვა აქვთ, გამართონ ტფილისში ისეთივე სახლები, როგორიც რუსეთის სხვა ქალაქებში ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ.

⁂ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.** გუშინ-წინ, 28 მარტს, ა. ბ. ევანგულოვის თავმჯდომარეობით „სამეურნეო საზოგადოების“ წევრთა კრება მოხდა, რომელსაც მხოლოდ ათი წევრი დაესწრო საზოგადოებისა და რამდენიმე კერძო პირი.

ამ კრებაზე ა. ა. ქალანთარმა წაუკითხა დამსწრეთ საგანგებო კომისიისაგან შემუშავებული პროექტი «კავკასიის მეცხვარეთა ამხანაგობის» წესდებისა.

ამ წესდებამ ბევრი ბაასი გამოიწვია, მაგრამ, რადგან დამსწრე წევრთაგან ზოგიერთნი არ იყვნენ ჯეროვნად შეგნებულნი წესდების შინაარსთან, კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: წესდების განხილვა გადიდვას შემდეგს კრებამდე და წევრებს დაურიგდეთ ამ თავითვე ეს პროექტი, რომ მომავალის კრებისათვის უფრო მომზადებულნი მოვიდნენ.

ამის შემდეგ პ. ქალანთარმა მოახსენა კრებას „ყველის მრეწველობის“ თაობაზე საუბრების ანგარიში საგანგებო კომისიისა. ამის განხილვაც გადიდვა შემდეგის კრებისათვის.

სხდომა დაიხურა ღამის 12 საათზე.

⁂ **უდროვოდ დასაწუქრება რკინის გზის მოსამსახურეთა.** საღ-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 155.

დგომოდ რკინის გზის მოსამსახურეთ ასაჩუქრებენ ხოლმე ბედნიერი დღისთვის, მაგრამ ეს საჩუქარი აქნობამდე არც ერთხელ არა ღირსებიათ თავის დროზედ ე. ი. აღდგომის წინა დღეებში მიღება, რომ მართლა ბედნიერ დღეს მოიხმარონ. ხან თითქმის ერთ თვესაც გაიყვანდნენ აღდგომის შემდეგ და მაშინ ასაჩუქრებდნენ. ეხლა, როგორც შევიტყეთ, განკარგულება მოსვლია რკინის გზის უფროსს, ვისგანაც ჯერ არს, რომ საჩუქარი დარიგდეს აღდგომის წინა დღეებში.

⁂ **ქალაქის სანიტართა საყურადღებოდ.** ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ შავი ჭირის პირველი მასპინძელი, აუცილებლივ, გახდება ხოსროევის ქარვასლა. ამ ქარვასლას ერთი თავი უძევს ავლაბრის ზევით ხიდის ყურთან და მეორე რიყის პატარა მოედანზედ, სადაც ტრამვაი ჩერდება.

ამ ქარვასლაში რამდენიმე ასი სული ცხოვრობს, მომეტებული ნაწილი თათრები და სომხებია. გზის შესამოკლებლად ქვეითა ხალხი სულ ამ ქარვასლაზედ დადის. რიყის მხრიდგან დიდი შესავალი კარებია, ცოტას გაივლით და დაგხვდებათ კიბე, რომელზედაც უეჭველად უნდა აიაროთ. ამ კიბის გვერდით წარმოგიდგებათ თვალ წინ ეზოსავით ალაგი და გარშემო მღებრები. ამ ალაგიდგან ისეთი მყრალი სუნი ამოდის, რომ კაცს თავს-ბრუ დაესხმის, სულ მთლად ნაგვით არის გატენილი. ბ. სანიტარებო, ნეტავი ვიცოდეთ რის მაქნისები ხართ, რომ არ აქცევთ ყურადღებას ამისთანა სიბინძურეს! რაში გვართმევთ ჯამაგირს ქალაქის მცხოვრებლებს, თუ ყველა კუთხეს არ გასინჯავთ და ჯეროვანს განკარგულებას არ მოახდენთ? ტყუილად კი არ იოხუნჯა ერთმა: სანიტარების თანამდებობა სანეტარო ადგილიაო!.

⁂ **ახალი ქართული წიგნი.** ჩვენ ვიღეთ „ახალის მკითხველის“ გამოცემა „როგორ სცხოვრობდნენ ადამიანები ძველად (პირველ ყოფილის კულტურის მიმოხილვა)“ თხზ. დ. კუდრიავსკისა, თარგმანი ის. ცვიცარიძისა. ამ შინაარსის წიგნის ბეჭდვა ქართულს ენაზე ახალი საქმეა და, ამიტომ, საძნელო, რადგან სამეცნიერო ტერმინები ჯერ შემუშავებული არა გვაქვს. მთარგმნელს, ეტყობა, დიდი შრომა გაუწევია ამ დაბრკოლების საძლევად. წიგნი, შედარებით, ადვილად საკითხავია.

სიამოვნებით ვეგებებით „ახალის მკითხველის“ პირველს გამოცემას და იმედი გვაქვს, პირველს გამოცემას და მთელი რიგი გამოცემათა მოჰყვება ამავე შინაარსისა და მით ჩვენს სამეცნიერო მწერლობას საფუძველი ჩაეყრება. როგორც ამ წიგნის კანზე დაბეჭდილ განცხადებიდანა სჩანს, „ახალი მკითხველი“ მეორე წიგნად სვიდერსკის თხზულების „შრომა და კაპიტალის“ დაბეჭდვას აპირობს.

ახლად დაბეჭდილი თხზულება დ. კუდრიავსკისა რუსულ გამოცემასთან შედარებით, იაფად ღირს,—25 კაპ. შეიცავს 104 გვერდს, კარგ ქაღალდზე დაბეჭდილს.

⁂ **ოზურგეთი. ეკკლესიის დარაჯები.** აქაურის ქალაქის თვითმართველობას ოზურგეთის ზოგიერთთ მკვიდრთ თხოვნა მიართვეს, ეკკლესიის დარაჯობისაგან განგვათავისუფლეთო. საქმე ის გახლავთ, რომ ეს მთხოვნელები, რიცხვით 8 კაცი, როცა სოფლის საზოგადოებისაგან ამოწერილან და ქალაქის მკვიდრებათ ჩარიცხულან, სამაზრო მმართველობას მათთვის დაუვალებია, ქალაქის საჭიროებისათვის გადასახადი იმის მაგიერ, რომ ფულად შეიტანოთ, ეკლესიას ღამ-ღამე დარაჯებად დაუდექითო. მას აქეთ ათი წელიწადი მეტია, ეს რვა კაცი ჰდარაჯობს ეკკლესიასა და ეს-კი მათთვის ხელსაყრელი სრულებით არ არის,-ათწილ ურჩევნიათ ფულად შეიტანონ თავიანთი გადასახადი. ხმოსნების ერთ-ერთს კრებაზე ეს კითხვა განიხილეს და დაადგინეს: თუ რამ გადასახადია, ფულად გადავახდევინოთ და მემკვიდრეობითის დარაჯობისაგან-კი განვათავისუფლოთო. მხოლოდ წინასწარ შევკრიბოთ ეს რვა კაცი და ნებაყოფლობით განაჩენი შევადგენინოთ, რომ ამით ფულის გადახდა უფრო ეხერხებათო.

⁂ **ქ. სოხუმი. ქალაქის მამულების მოიჯარადრენი.** როგორც სოხუმიდანა სწერენ გაზ. „ახ.მიმ.“-ას, ამაზე წინად ქალაქის დეპუტატებს სოხუმის მამულები იჯარით მიუციათ ბერძენ და სომეხ მეთამბაქოებისათვის. იჯარის ფასი დესეტინაზე წინანდელის 20 მანეთიდან 25 მანეთამდე ასულა. არც ერთს მეგრელს არ განუცხადებია სურვილი ამ მიწების იჯარით აღებისა, რადგან თამბაქომ ეს მიწები ისე გამოჰფიტა, რომ სიმინდის მოსაყვანად არ ვარგა.

სასურველია, სოხუმლებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. როგორც ვიცით, ისე არც ერთი მცენარე არა ჰღლის და არ აუძლურებს ნიადაგს, როგორც თამბაქო. აქაური მამულები, სადაც-კი მეთამბაქოები დგანან, საშინლად გამწირდა. ბერძნები და სომხები ხომ ამას არ დაგიდევენ, ნიადაგს სასუქი დააყარონ რამე. მანამდი სთესენ ხოლმე თამბაქოს, სანამ ნაყოფს რასმე იძლევა მამული. მერე სხვაგან იღებენ იჯარით ადგილსა.

ამიტომ, საჭიროა, ან სულ არ მიეცეს თუთუნის სათესად ეს ადგილები მოიჯარადრეთ, ან, თუ არ დაიშლიან, პირობაში ჩაუწერონ მაინცა, რომ, ცოტათი არის, გაატივონ ნიადაგი, თორემ მალე, სული 7—8 წლის განმავლობაში, სოხუმის მამულები სრულიად უნაყოფოდ გადაიქცევა. მაშინ დესიატინაში 25 მანეთს კი არა, ერთს მანყულსაც არავინ მისცემს. თქვენს ლხენას, ისეთი გიჟი ვინ იქმნება, რომ მწირი ადგილი აიღოს და იჯარის ფული იხადოს, როცა სხვაგან შეუძლია ნაყოფიერის ალაგის აღება იჯარით და ფულის მოგება; სოხუმელები მარტო აწმყოთი სცხოვრობენ, იმასა სცდილობენ, დღეს რამე შემოუვიდესთ; იმას-კი არავინა ჰფიქრობს, დღეს კარგი მამული ხვალ იმნაირივე კარგი და სარგებლიანი იქმნება.

⁂ **სოფელი შემოქმედი.** (გურია) **სოფლისათვის დაზარებული მიწა.** ამ სოფელში არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა. მაგრამ ჯერ-ჯერობით სკოლისათვის კარგი შენობა არ არის აგებული, რადგანაც დიდი ხანი არ არის, რაც სამ-განყოფილებიანი იყო და ეხლა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ორკლასიანია. წარსულ წელში საზოგადოებამ მოახდინა ყრილობა და ამოირჩია სკოლის მზრუნველად, სხვათა შორის, ბ. ი. მამინაიშვილი, რომელმაც საზოგადოებას აღუთქვა შემწეობა სკოლისთვის საჭირო მიწისა. ხოლო ის მიწა, რომელზედაც არსებობს სკოლა—პატარაა და მომავალში ვერ გაუწევს სამსახურს ჩვენს სკოლას. ეს თავისი განზრახვა ბ. ი. მამინაიშვილმა გააგებინა მაზრის უფროსს ბ. ალშიბაიას და სთხოვა დაეჩქარებინა სოფელი ადგილის ა'ორჩევაში, რომ მას ეყიდნა და ამ წლის სეკტემბრისათვის მაინც მზად ყოფილიყო სასწავლებელი. მაზრის ოფროსმა, რასაკვირველია, დაავალა მთელს საზოგადოებას და განსაკუთრებით ორ-სამ კაცს, რომ მათ დაებოლოებინათ ადგილის შესახებ საქმე და მიწის ფასი მოეთხოვნათ ბ. ი. მამინაიშვილისაგან. ეხლა, როგორც გავიგეთ, იმ პატივცემულ პირებს აურჩევიათ ადგილი, სამას მანათად ღირებული ერთი ქცევა. ამის შემდეგ აგერ ორი თვე გადის და ბ. ი. მამინაიშვილისაგან აღთქმული მიწა არ ჩაუბარებია საზოგადოებას, რომ შეუდგეს სკოლის შენებას. ძლიერ კარგს ინებებდა ბ. ი. მამინაიშვილი, რომ საქმეს დროზედ დააბოლოვებდეს და თუ რაიმე მიზეზის გამო არ ძალუძს თავისი სიტყვის სისრულეში მოყვანა,—გააგებინოს, რომ ლოდინში საზოგადოებამ დრო არ დაჰკარგოს და სხვა გზას დაადგეს.

ინჩინი.

⁂ **სოფ. ხაშმი. ბიბლიოთეკის მოქმედების შედეგი.** სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ხაშმის ბიბლიოთეკის მოქმედების შედეგი. ამ ხუთის წლის წინად, როდესაც აქაურმა შეგნებულმა ყმაწვილ-კაცობამ დაიწყო ბიბლიოთეკის საქმე, სოფელი წინააღმდეგი გაუხდა, ჩვენ რას მოგვიტანსო (თუმცა კი სოფელს არაფერი ეხარჯებოდა გარდა იმისა, რომ კანცელარიის გვერდით ერთი პატარა ოთახი უნდა დაეთმო.); დღეს-კი, სამართლიანად რომ დაფიქრდნენ, ამ საყვედურის თქმა არ შეუძლიანთ: ბიბლიოთეკამ უკვე აჩვენა ნაყოფი... ყოველ კვირა დღეს ბავშვები და მოზრდილებიც მოდიან და ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რა ნაირის სიხარულით და სიამოვნებით მოაქვთ წიგნები.

— „აბა შენი ჭირიმე, დათიკო (ბ. დათიკო ნახუცრიშვილი, რომლის მხნეობით და მეცადინეობით დაარსდა ბიბლიოთეკა), ერთი კარგი ისტორიის წიგნი მომეცი, ჩვენ მეფეებზედ დაწერილი ამბები..“ მე „ბნელო“,... მე კიდევ „დავითაშვილის ლექსები“, მე „ბახტრიონი“, ანიამ მიქო მე. კიდევ შენ ამომირჩიე ერთი კარგი წიგნი აი, „თევდორე მღვდელი“ კარგი იყო, იმდენსა გლოცავ, რომ ჩემის ლოცვით ან ცხონდები ან წაწყმდები, ეუბნება ერთი დედაკაცი, აგერ მეორე კიდევ ამათი წაქეზებული სთხოვს: მეც მომეცი კაი წიგნი, ძროხებში გავიტან ხოლმე ჩემს კიკლიას.. და სხვ... ბ. ნ. ხუციშვილი ყველას თანაგრძნობით და სიყვარულით ეპყრობა და სასურველს დარიგებას აძლევს. რამდენი ახალგაზდა გლეხი არის კმაყოფილი: „რა ბიჭია ე დათიკო და!. ი რო წაგვიკითხავს, მშვენიერ წიგნებსა განა იქნება მაგ ნაირი ვინმე? მოგვიჯდება და გვიხსნის ისტორიებს და გვიკითხავს ძველ ამბებსა“...

ხომ ასეთ სურათებსა ჰხედავს კაცი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიბლიოთეკა ღარიბია, ჟურნალ-გაზეთები არც ერთი არ მოსდის. უფრო სამწუხაროა მამასახლისის ცუდი შეხედულება ბიბლიოთეკაზე: არა, შვილოსან, ეგ წიგნები უფრო რყვნიან ბავშვებსა... გამოიტანეთ ეგ შკაფი მაიდგან (ბიბლიოთეკა მოთავსებულია სოფლის შენობაში) სხვა რამისთვის მინდა ოთახიო... რისთვის უნდა, ეს არვინ უწყის, ხოლო ესაა, რომ სურს ამითი ჩაკეტოს სამკითხველო და ამის მაგიერ კი სასოფლოდ დუქანს აშენებს, სადაც, რასაკვირველია, ლოთობას უფრო ხელი შეეწყობა და ეს მოუხდება თუ არა გაღარიბებულ გაღატაკებულ სოფელს,—მკითხველმა წარმოიდგინოს.

დიახ, ესეთი მამასახლისი ჰყავს ს. ხაშმის საზოგადოებას, რომელშიაც

სასამართლოს მატიანედგან.

მოშხამული სიცოცხლე.

ფრიად საინტერესო და მეტის-მეტად საგულისხმიერო საქმე ირჩეოდა ეხლახან ოდესის ოლქის სასამართლოში. ეს იყო ფურცელი, ცხოვრების წიგნიდამ ამოგლეჯილი და არა შეთხზული მოცლილის ბელლეტრისტის მიერ, ეს იყო საშინელი დრამა, რომლის უმთავრესნი გმირნი ჩვენი ძმები და დები არიან, ჩვენი სისხლ-ხორცნი. აქ ყველანი მართალნი არიან და მასთან ყველანი უბედურნი. იგინი მართალნი არიან, ვითარცა ძენი და ასულნი იმ საუკუნისა, რომლის განსაკუთრებულს თვისებებს შეადგენენ ნერვების მოშლა, უხასიათობა, ზომას გადაცილებული თავ-მოყვარეობა და თავისის პიროვნების გაღმერთება. იმ საუკუნისა, როდესაც ვნებათა-ღელვა სამეფო ტახტზედ გამოჭიმულა, ყოველივეს ჰბრძანებლობს და ყოველივეს სთელავს თავისის უწმინდურის ფეხით.

ბრალდებულმა, დოქტორმა პ. ა. სოლოვიოვმა, რომელმაც რამდენჯერმე დასცა რევოლვერი თავისს მეტოქეს, ახალგაზდა ოფიცერს ს. ა. ტიმკოვსკის, სასამართლოში აღიარა თავისი დანაშაული და აღწერა ის ქენჯნა სულისა, რომელიც მან გამოიარა და რომელმაც აღებინა ხელში იარაღი. სასამართლომ სოლოვიოვი სრულიად გაამართლა. ეს განაჩენი მართლ-მსაჯულებისა აღტაცებით მიიღო საზოგადოებამ, თვით დაჭრილის ტიმკოვსკის ამხანაგებმაც კი. ყველას გულში გაიღვიძა ერთნაირმა გრძნობამ, გრძნობამ სიხარულისამ, რომ საზოგადოების თვალში მართალი კაცი სამართალმაც გაამართლა. ვინ იტყოდა, რომ დოქტორი სოლოვიოვი დამნაშავეაო? ვინ დასდებს ფიცს, რომ ის სოლოვიოვის ადგილას მოიქცეოდა სხვა ნაირად, იარაღს არ იხმარდა? ვინ აპატიებდა ტიმკოვსკის ოჯახის გაუპატიურებას, ჯალაბის შერცხვენას, თავზე ლაფის დასხმას? ვინ აპატიებდა, ვისი გული არ აღინთებოდა ჯოჯოხეთის ცეცხლით სამაგიეროს გადასახდელად, ჯავრის ამოსაყრელად.

⁂

აი დაწვრილებითი მოთხრობა ბ-ნ სოლოვიოვის უბედურებისა. 7 აპრილს, 1896 წ. დოქტორმა ს—მა შეირთო ცოლად 20 წლის ქალი ელენე შჩეპინისა. თვით სოლოვიოვი ამ დროს იყო 29 წლის ახალგაზდა კაცი, სავსე ჯანით და ლამაზის შეხედულობისა. 28 ოქტომბერს-კი, იმავე 1896 წლისას, საწყალი სოლოვიოვი, მოქანცული, დაწყვეტილი, მოშხამული, დაკოდილის გულით და სულით იღებს ხელში რევოლვერს და დასჭრის ახალგაზდა ოფიცერს ტიმკოვსკის, თავისის ცოლის საიდუმლო მოტრფიალეს. 7 აპრილს სოლოვიოვმა ჯვარი დაიწერა, ხოლო 14 მაისს, ესე იგი რამდენისამე კვირის შემდეგ შეუყვარებულთა ქორწინებისა, ქალბატონი სოლოვიოვისა ცეკვაობს ოფიცერ ტიმკოვსკისთან, მოსწონს იგი... და ყოვლად მოუფიქრებლად, თითქმის მხეცურად, არღვევს ცოლ-ქმრობის სიწმიდეს, აქრობს ოჯახის კერას. ჯერ ერთმანერთის სიყვარულით არ გამძღარან ცოლ-ქმარნი, რომ სცენაზედ გამოდის უკვე „სახლის მეგობარი“.

რა წუნსა სდებთ თქვენს ქმარსაო, ჰკითხეს მსაჯულებმა ქ. სოლოვიოვისას: რას შესჩიოდით ბ. ტიმკოვსკისო?—ქმარი უნდა ათაყვანებდეს, ლოცულობდეს თავისს ახალგაზდა ცოლსაო და ჩემი ქმარი-კი საქმის კაცია და საკმაოდ არ მეალერსებოდაო, სულ საქმეებში იყო გართულიო. ეს პასუხი გულ-უბრყვილოდ რამდენჯერმე გაიმეორა ქალბატონმა სოლოვიოვისამ. ბ-ნი ტიმკოვსკი-კი აღმერთებდა, ალერსის მორევში აღრჩობდა და ამ რიგად დაიმორჩილა კიდეც ახალგაზდა მანდილოსანი.

⁂

ათრთოლებულმა და აშფოთებულმა დოქტორმა სოლოვიოვმა სრულის ჭეშმარიტების დაცვით მოუთხრო მსაჯულთ თავისის თავის ისტორია. იგი არის შვილი სოფლის მღვდლისა ყაზანის გუბერნიიდან, აღიზარდა სახელმწიფო ხარჯზე. მშობლები ადრე დაეხოცნენ და დაობლებულმა სოლოვიოვმა ბევრი სიმწარე და ტანჯვა გამოიარა, ვიდრე კაცად იქცეოდა. კურსი გაათავა სამხედრო საექიმო აკადემიაში 1891 წელს და შევიდა დოქტორად პოლკში, რომელიც იდგა ტირასპოლში. საზოგადოებაში ახალგაზდა ექიმი იშვიათად გამოდიოდა და არც ეცალა. ის მუყაითად დაადგა თავისს საქმეს, თავისუფალ წამებს ახმარებდა წიგნების კითხვას და განვითარებას სამკურნალო მეცნიერებაში. შემთხვევით გაიცნო შჩეპინის ოჯახი. აქ მოეწონა ახალგაზდა ქალი ელენე. ელენემაც თანაგრძნობა გამოუცხადა, შეივარა,—და მალე ჯვარიც გადიწერეს. არ გასულა ერთი თვე, რომ ამათი ბედნიერება უბედურების ჩრდილით შეიმოსა პირველსავე საცეკვაო სალამოზედ.

რაც დრო და ხანი გადიოდა, ქ-ნი სოლოვიოვისა უფრო და უფრო ვარჯიშდებოდა ტყუილში, მიდიოდა უჩუმრად ტიმკოვსკისთან, წერილებსა სწერდა, და სხვა ამისთანა ნაყოფებს ღალატისას დასასრული აღარა ჰქონდა. სოლოვიოვის გულიც ჰგრძნობდა რაღაცას, ჰგრძნობდა, რომ ხიფათი მოელის, რომ ვიღაცა ჰპარავს მას ბედნიერებას... მაგრამ უსაბუთოდ, უფაქტოდ არ აძლევდა თავისს თავს ნებას შეურაცხყოფა მიეყენებინა თავისის ცოლისათვის. „არა არს-რა დაფარული, რომელიც არ გამოჩნდესო“ და აგერ სოლოვიოვსაც მოუვიდა უსახელო წერი-

ბიბლიოთეკა

ორი სკოლა, (ერთი სამინისტრო, მეორე სამრევლო).

ვუსურვებთ რა მეტს სიმხნევეს ხაშმელ შეგნებულ ახალგაზდობას, ნუ შეუდრკებიან მამასახლისის ცუდს შეხედულებას, კიდეც დარწმუნდნენ, რომ მათმა მოქმედებამ ნაყოფი გამოიღო და მაშასადამე იგინი ამან უფრო უნდა გაამხნევოს..

— **შავი ჭირის მოლოდინი.** შავი ჭირის დასახვედრად კი აქაური მამასახლისი ძალიან ზრუნავს, სჩანს, მისი ხათრი უფრო აქვს, კვირას 16 მარტს, ყველას სასტიკად გამოუცხადა, რომ ეზოები დაასუფთავეთო და გლეხებმაც დაიწყეს სოფლის გასუფთავება. ხოლო მთელ სოფელს (300 კომლამდის) ერთი ფერშალიც არა ჰყავს, თორემ წამალს ვინ სჩივის. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ბ. მამასახლისი სცდილობს, რომ ფერშალი დაიქირავოს. ვუსურვებთ, რომ სურვილი „სურვილად“ არ დარჩომოდეს.. საჭიროა ბ. მამასახლისმა მართლა და „უმამასახლისოს“ სოფელს და იზრუნვოს მისის ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

— სოფელში სიღარიბე სუფევს «უფულობა», „უპურობა“ და «უღვინობა“, რომელიც ხაშმელების ცხოვრების უმთავრეს წყაროს შეადგენს.

ხაშმელი სოსიკა.

⁂ **ქუთაისი. აქაურის საადგილ-მამულო ბანკის ურიგო საქციელის შედეგი.** ამას წინად ჩვენს გაზეთში დასტამბული იყო საძრახისი საქციელი ქუთაისის ბანკისა, რომელმაც ურიგოდ მოიქცა საჯარო ვაჭრობაში ბ. ივანოვის მამულის გაყიდვის დროს. (იხილე «ცნობის ფურცელი»-ს № 155).

გაზ. „ნოვ. ობოზ“. ატყობინებენ ქუთაისიდამ, რომ შეუტვია, თუ არა საცოდავს ივანოვს, რომელიც სამსახურისა გამო სოფელში ყოფილა, მამულის გაყიდვა, მაშინვე გაქანებულა ქუთაისში და ბანკის მმართველობისათვის მიუმართნია, უთხოვნია ამიხსენით რაშია საქმე და რა მიზეზით გაიყიდა ჩემი მამულიო? იქ აუხსნეს, რომ იმ პირს, რომელსაც უნდა შემოეტანა ბანკში ხვედრი ფული ამ მამულისა, არ შეუსრულებია ვადაზედ თავისი ვალდებულება და ამიტომ მამული გაიყიდაო და ორი რჩევა მიუციათ: ან მიიღეთ ბანკიდამ მამულის გაყიდვიდამ შემოსული ზედ მეტი ფული, ან და სთხოვეთ ისევ ბატ. ხ—სა, რომ დაგითმოთ ნაყიდი მამულიო. არავინ იცის, რა უთხრა ბ. ხ.—მ. საცოდავს მთხოვნელს—ეს კი ნამდვილია, ივანოვს იმ დღესვე გონება დაჰკარგვია და ჭკუაზედ შემცდარა. მისი ოთხი მცირე—წლოვანი შვილები ულუკმა-პუროდ და უბინაოდ საცოდავად დარჩნენ. მათი გლოვა-ტირილი და მდუღარე ცრემლები ქვის გულსაც-კი მოალბობს, მაგრამ ბანკის მმართველობა და ბ. ხ. შეუბრალებლად შესქერიან საცოდავებს. ბარაქალა, თქვენს კაცთ-მოყვარეობას!!

⁂ **ფოთი.** კომმისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს დაათვალიეროს შავი ზღვის ნაპირას ქ. ნავთ-სადგურები, პეტერბურგიდგამ ჩამოსულ ინჟენერთ, ლისოვსკისა და ჟარინცევის მეთაურობით, დაათვალიერა, თურმე, სანავთ-სადგურო შენობები ქ. ნოვოროსისკში, ტუაფსე და ფოთში და საჭიროდ სცნო ესეთივე შენობები აგებულ იქმნან სოხუმშიაც.

⁂ **ს. ქვემო-ჭალა.** (გორის მაზრა). **ბიბლიოთეკის დაარსების გამო.** დიდიხანია, აქაურ საზოგადოებას გაეხსნა სურვილი ბიბლიოთეკის დაარსებისა და აზრის განსახორციელებლად შეუდგა სხვა-და-სხვა წყაროების ძებნას. ყველაზე უწინ მან დაავალა აქაურ ახალგაზდობას ამ სიმპატიურ აზრის განხორციელება ეკისრა და თავის მხრით ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ახალგაზდობამ სცენის დადგმას, როგორც უტყუარს წყაროს, მიმართა და არც მოსტყუვდა. გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც ნაღდი შემოსავალი, ხარჯის გარდა, შვიდ თუმანზე მეტი დარჩა. ამ წარმოდგენამ აშკარად დაანახვა ახალგაზდობას, რომ საკმაო თანამგრძნობელი ჰყავს ამ კეთილ საქმის დაარსებას. ამნაირად წაქეზებულმა ახალგაზდობამ გადასწყვიტა მეორე და მესამე წარმოდგენის გამართვა. მართლაც წარსულ 1896 წ. მარიამობის თვის 6-ში გამართეს წარმოდგენა, რომლის შემოსავალი ათ თუმანს აღემატა. ეს ჩვიდმეტი თუმანი სრულიად საკმაო იყო ბიბლიოთეკის პირველ მოსაწყობად, მით უმეტესად, რომ თ. ნ. მესხიევმა დაუთმო ერთი ოთახი უსასყიდლოდ და აგრეთვე აღუთქვა ყოველ-გვარი დახმარება. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ფულმა თითქმის უსარგებლოდ ჩაიარა. მიზეზი ამისა იყო ახალგაზდობის გაყოფა ორ დასად. ერთი ამ დასთაგანი ამტკიცებდა, რომ ვიდრე ბიბლიოთეკას დააარსებდნენ, საჭიროა სცენის მოსაწყობი მასალა შეიძინონ და შემდეგ ახალი წარმოდგენის გამართვით შეამსონ დახარჯული ფული. მეორე დასი კი ამბობდა, რომ სცენის მოსაწყობი მასალა, მაგ. ფარდა, კულისები და სხვ. სოფელში ჯერ-ჯერობით საჭირო არ არისო, რომ ჩითის ფარდა, რომელშიაც შარშან შვიდი მანეთი მივეცით, სრულიად საკმაოა სოფლის სცენისთვისაო. ამის მიუხედავად პირველმა დასმა სძლია და განახორციელა თავისი აზრი, ე. ი. შეიძინა ახალი დახატული ფარდა, კულისები და სხვ. მაგრამ ახლა, მე მგონი, ნანობს თავის მოუფიქრებელობას. რა იქნა ფარდა და სხვა სცენის სამკაული? უმეტესი სამკაულთაგანი კარზე აწყვია და ფუჭდება!!! ამისთანა წვრილმანებზე განა შეიძლებოდა ფიქრი, როდესაც წინ დიდი და კეთილი საქმე გვიძევს?! მერე, განა ცოტა დაიხარჯა ამ სამკაულის შეძენაზედ? თერთმეტი თუმანი დაიხარჯა იმ ოფლით შეძენილ ფულიდგან! რა იქნა დანარჩენი ფული? გამართეს ბიბლიოთეკა? ეს კითხვა ჩვენთვის გამოუცნობელია. საკვირველია ღმერთმანი, თუ სხვა-და-სხვა გარემოება ხელს არ უწყობდა ბიბლიოთეკის დაარსებას, ამ დანარჩენ ფულს რათ აცდენენ? მას შემდეგ ცხრა თვე გავიდა და ნუ თუ ის ფული, იმ თერთმეტი თუმნის გარდა, რომელიც ტყუილ-უბრალოდ დაიხარჯა, ბანკში რომ შეეტანათ არაფერს ისარგებლებდა? ერთი მანათიც რომ ესარგებლა, ჩვენისთანა ღარიბ ხალხისთვის დიდი ფული იყო, მაგრამ არამც თუ ბანკში, არც-კი ვიცით, ვის აქვს ჩაბარებული ის ფული. იმედი გვაქვს, რომ ახალგაზდობა ეხლა მაინც შეუდგება მინდობილ ვალის შესრულებას და ეცდება იმ სასარგებლო საქმის განხორციელებას, რითაც ძლიერ დავალებულნი ვიქნებით ჭალელები, რადგანაც ამ ჟამად მთელს ჭალაში ერთი წიგნი და ერთი გაზეთი არ მოგვეპოვება და ქვეყნიერობისა არა ვიცით-რა.

ჭალელი.

კრება ოზურგეთში რკინის გზის გაყვანის გამო.

16 მარტს, როგორც „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს ამას წინადაც ვაუწყეთ, გურიის თავად-აზნაურობას და ოზურგეთის მოქალაქეთ კრება ჰქონდათ შესახებ ნატანებიდან რკინის გზის შტოის გამოსაყვანად საქციონერო საზოგადოების დაარსებისა. ახლა ვეშურებით დაწვრილებით გავუზიაროთ მკითხველებს ამ კრების ანგარიში.

კრებას თავმჯდომარეობდა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი სვიმონ დავითის ძე გუგუნავა, რომელმაც კრებას შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

„ბატონებო! ყველას კარგად მოგეხსენებათ, რკინის გზას რა დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მის დამაარსებელ საზოგადოებისა, ისე გურიის მემამულეთა და მწარმოებელთათვის. თქვენ ბრძანდებით მოწვეული დღეს მოსალაპარაკებლად ნატანებსა და ოზურგეთს შუა რკინის გზის გამყვან საქციონერო საზოგადოების დაარსების შესახებ. ყველა თქვენგანს შეგნებული გაქვსთ, ამგვარად შემდგარ საზოგადოებებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში! ამას მაგალითებიც გვიმტკიცებენ. ამ ცოტა ხანში აქ შესდგა ეგრედ წოდებული გურიის სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“, რომელმაც სათანადო სარგებლობა მოუტანა ადგილობრივთ მკვიდრთ და კერძოდ თვითონ ამხანაგობის წევრებს. ამისთანა მაგალითები ბევრი გვაქვს. იმედი მაქვს, რომ ყოველსავე ამას მიაქცევთ ყურადღებას და ამგვარად ამ დიდს და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს საქმის დაარსებას სრულის თანაგრძნობით მიეგებებით.

თავ. ნ. თავდგირიძე. ყოველ საზოგადო საქმეს სიფრთხილით და წინდახედულად უნდა მოჰკიდოს კაცმა ხელი. ჩვენ ყოველთვის ამ აზრით ვხელმძღვანელობთ, როცა ამგვარის დიდის საქმის გაკეთება და დაარსება გვინდა. ამ აზრით ბრძანდებით თქვენ მოწვეული. ყველა დამეთანხმებით, რომ შეერთებული ძალა ასეთ შემთხვევაში დიდი რამ არის; ვინ არ იცის, რომ ჩვენსავით ეკონომიურად დაცემულ ერისათვის შეერთებულის ძალით მოქმედება—ერთი უპირველესი სახსართაგანია ცხოვრების წარსამატებლად. ყველგან, სადაც ჩვენსავით დაქვეითებული საზოგადოებაა, არდგენენ ამგვარს დაწესებულებას, შეერთდებიან ხოლმე და ამ შეერთებულის ძალით ყველაფერს ადვილად ახერხებენ და ყოველსავე დაბრკოლებას ადვილად სძლევენ. ჩვენ თუ ამ საქმეს ენერგიულად ხელს მოვკიდებთ, დარწმუნებული ვარ, საქმე კარგად წავა. მთელის გურიისთვის სასარგებლო იქნება ეგ საქმე. ამ გზის გაკეთებაზე ბევრს უცხოელს უჭირავს თვალი, რომ თვითონ ჩაიგდონ ხელში, მთავრობა კი ჩვენ უფრო ხელს გვიწყობს; მას უნდა ადგილობრივთ მკვიდრთ გააკეთონ და მოიგონ ამ გზით. ჩვენ ავსწონდავსწონეთ და გამოვიკვლიეთ ყოველი და მართლა, რომ ხელ-საყრელია ამ გზის გაკეთება. ამ გვარი საქმე იყო ჭიათურის გზა და სულ რამდენსამე წელში აინაზღაურეს მაზე დახარჯული ფული. დღეს შემოსავალიც მოაქვს. თუ ვიმეცადინებთ, თუ მოვინდომებთ ამას, მე იმედი მაქვს ჩვენის საზოგადოებისა, რომ მიზანს უეჭველად მივაღწევთ. ჩვენ გამოვიანგარიშეთ მცოდნე კაცების დახმარებით და სტატისტიკით აღმოჩნდა, რომ პირველ წელიწადს, 30% დარჩება მოგება. ვიმეორებ, რომ თუ ჩვენ ამ საქმეს დროზე არ შევუდგეთ, მაშინ უცხოელები ჩაიგდებენ ხელში.

† თავ. მელიტონ ნაკაშიძე. სწორედ შეერთებულის ძალით მოქმედება სა-

---

ლი, რომელიც ამხელდა ცოლის საქციელს და კავშირს ტიმკოვსკისთან. სოლოვიოვმა ახლაც არ დაიჯერა და აჩვენა წერილი ცოლს. ცოლს სიცილად არ ეყო: ვინ მომიგონა ასეთი უცნაური ჭორებიო. სოლოვიოვი დამშვიდდა, მაგრამ ხან-მოკლე გამოდგა მისი სიმშვიდე. მესამე დღეს, სახლში რომ დაბრუნდა, ცოლი შინ არ დაუხვდა. მის მაგიერ წერილი დახვდა ასეთის შინაარსისა: „პატიოსან ქალს არ შეუძლიან იცხოვროს იმ კაცის ხარჯით, რომელიც არ უყვარს, ამიტომ მე განებებ თავსაო. მხოლოდ ტ—ზედ არა იფიქრო-რა, ის დამნაშავე არაფერშიაო“.

⁂

რა იქნა ცოლი?—არ იცის ეს თითონ და არც არავინ ეუბნება, თუმცა ცხადია, რომ ყველამ იცის რაღაცა და უმალვენ. ალბათ ვებრალებიო.

სოლოვიოვი მიდის ტიმკოვსკისთან, მაგრამ არ მიიღეს. მიდის მეორეთ, კვლავ არ მიიღეს, მესამედ მივიდა დილის 6 საათზედ, უჩვენა წერილი და მუხლ-მოდრეკით შეევედრა: სიმართლე მითხარიო. ბ. ტიმკოვსკიმ შეჰფიცა „პატიოსანი სიტყვა“, რომ ყველა ეს ტყუილია, ჭორია, სიცრუეა. სოლოვიოვი დაბრუნდა ცოტათი დამშვიდებული. მაშასადამეო ფიქრობდა, ცოლის წერილი ცელქობაა, ბავშვობაა, ისევ დაბრუნდება. მაგრამ აგერ სოლოვიოვს შეჰხვდება „მეგობარი“, ავტორი უსახელო წერილისა, ეს იაგო ჩვენის დროისა, და უმტკიცებს, რომ ტიმკოვსკი, სტყუის, რომ შენი ცოლი მასთან არის, აბა სახლი დაათვალიერეო.

დიახ, დოქტორი სოლოვიოვიც დარწმუნდა: თითქმის ყველა ნივთები ცოლისა ნახა ტიმკოვსკის სახლში. ელენეს კაბები ეკიდა ტიმკოვსკის ტანისამოსთან ერთად. აქვე იპოვა უბედურმა ქმარმა წერილი ცოლისა ტიმკოვსკისთან მიწერილი, აღსავსე ალერსითა და სიყვარულით. სახლის პატრონი კოლჩენკოვი ამბობდა, რომ მართალია თქვენი ცოლი აქ ხშირად მინახავს, ამა და ამ საათზედ დაიარებოდაო.

გამოვიდა სოლოვიოვი ქუჩაში... წავიდა და თითონაც არ იცოდა, საით და რისთვის. ბოლოს შევიდა მაღაზიაში, იყიდა ახალი რევოლვერი, პატრონები, თუმცა თითონაც არ იცოდა, რისთვის უნდოდა ეს: თავის თავის მოსაკლავად თუ ტიმკოვსკისა. იცოდა მხოლოდ, რომ ერთი ამ ორთაგანი მეტია ამ ქვეყანაზედ, უნდა მოეღოს ერთ-ერთს ბოლო.

ავადმყოფი, აღელვებული, დარწმუნებული ყველაფერზედ და თავის თავის უბედურობაზედ, დოქტორი სოლოვიოვი კვლავ წავიდა ტიმკოვსკისთან და კვლავ შეჰბღავლა: მითხარი მართალიო!

ტიმკოვსკიმ კვლავინდებურად ხუმრობა დაუწყო. მისი მასლაათი იყო გულ-გრილი, გაცივებული, უგულო და უსულო. იგი ამბობდა კვლავინდებურად: „მე არაფერი არ ვიცი, ჩემი საქმე არ არისო“ და სხვა ამისთანებს.

— სალახანავ! წამოიძახა უნებლიედ სოლოვიოვმა... და ხუთჯერ ზედიზედ გავარდა დამბაჩა. ტიმკოვსკი გაიქცა, მერე დაეცა ძირს. სოლოვიოვმა კვლავ ესროლა რევოლვერი.

15 მინუტის შემდეგ სოლოვიოვი წარუდგა კომენდანტს და ყოველივე აუწყა. იგი შეიპყრეს. ტიმკოვსკიმ მძიმე ჭრილობა მიიღო, თუმცა სასიკვდილო-კი არა.

⁂

ამ საქმეში ყველა მართალს ლაპარაკობდა და მით უფრო შესაზარი იყო საზოგადო შთაბეჭდილება. დოქტორი სოლოვიოვი ცოცხალს აღარა ჰგვანდა. მას აღარაფერი ეხალისებოდა, მისთვის სულ ერთი იყო, რითაც უნდა გათავებულიყო ეს საქმე. იმან მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა და თვალებში რაღაც ელვამ გაურა, როდესაც მის ცოლსა ჰკითხეს: გიყვართ ახლა თქვენი ქმარი თუ არაო?

— მიყვარსო, მტკიცეთ წარმოსთქვა ქალმა: მე ჩემი ქმარი წინადაც მიყვარდა, მიყვარს ახლაც და მეყვარება კვლავაცო.

— მაშ ბ. ტიმკოვსკი...

— ტიმკოვსკიმ მე დროებით გამიტაცა, ისარგებლა ჩემის გამოუცდელობით. ამ სიტყვებმა იქონიეს თავზარდამცემი გავლენა ყველაზედ. მათ, თითქოს, ყველანი ერთმანეთში მოარიგეს.

ახალგაზდა ქალმა, აღზდილმა მიყრუებულ ქალაქის ინსტიტუტის ოთხ-კედელ შუა, თავს იდვა მძიმე საქმე: შეჰქმნას ბედნიერება კაცისა, მისცეს ქმარს მშვიდი, წყნარი, პატიოსანი, ზნეობრივი და სიყვარულით აღსავსე ოჯახობრივი ცხოვრება; იმ ქმარს, რომელმაც უძღვნა მას სამუდამოთ სული, გული და მთელი თავისი სიცოცხლე. მაგრამ... მაგრამ ქალმა ვერ შესძლო აღთქმის ასრულება.

ასე დაასურათა ხასიათი ნამდვილის დამნაშავისა ამ საქმეში ბატონმა პროკურორმა, რომელმაც წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც ერთის ცუდის სიტყვითაც არ მოიხსენია დოქტორი სოლოვიოვი. სოლოვიოვის ვექილმა სთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა, რომელმაც დამსწრენი ცხარე ცრემლით ატირა. ამის შემდეგ მსაჯულნი წავიდნენ სათათბიროდ და სულ რამდენისამე წამის შემდეგ გამოუტანეს დამნაშავეს გამამართლებელი ოქმი, რომელიც საზოგადოებამ ტაშის კვრით მიიღო. განა რომ სამწუხარო ისტორიაა?

მ.

სიამოვნო და სასიხარულოა. ვის შეუძლია სთქვას, რკინის გზა დიდი რამ არ არის ამ ქვეყნისთვისო! მაგრამ სანამ ჩვენ ამის დაწყებას, აქციონერულ ამხანაგობის დაარსებას შეუდგებოდეთ, მანამდის, ჩემის აზრით, საჭიროა: საქმეს კარგად დავუკვირდეთ, საჭიროა: ავწონ-დავწონოთ. შეგნებულისა და მცოდნე კაცის დახმარებით კარგად, უტყუვრად გამოვიკვლიოთ ყოველივე და ამ გვარათ, შეუმცდარის გამოკვლევის შემდეგ, შევუდგეთ საქმეს. მხოლოდ მერმე უნდა დავიწყოთ საქმე, როცა დანამდვილებით გვეცოდინება, რომ ეს საქმე სასარგებლო იქნება, მაგრამ ფულის შოვნის იმედი-კი არა მაქვს. შარშან აქ სკოლისთვის ფულები გვინდოდა და 4,000 მანათზე მეტი ვერ შევკრიბეთ...

თავ. ნ. თავდგირიძე. ბატონებო ჩვენ გამოვიანგარიშეთ და შევიტყეთ, რომ იმავე წელს საზოგადოებას დიდი მოგება დარჩება. ამიტომ, მე მგონია, დიდი კვლევა აღარ უნდა. ამოვირჩიოთ საიმედო კაცები დ მივანდოთ ამ დროებითს ამორჩეულ კაცებს ამ საქმის მოწყობა.

თ. მ. ნაკაშიძე. მე კი მგონია, რომ, უმჯობესია, საზოგადოებამ ჯერ ამოირჩიოს კომმისია რამდენისამე კაცისაგან. ამ კომმისიამ კარგად გამოიკვლიოს, გაიგოს ყოველივე და თუ მართლა სასარგებლო იქნება, საზოგადოების წესდების შემუშავებას და დაამტკიცებს მაშინ შევუდგეთ, როცა ნამდვილად სასარგებლოდ დავინახავთ.

(დასასრული იქნება)

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ.

Ქ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ. გლახუნა მგალობლიშვილის საქმე. ამ რამდენისამე დღის წინად აქ ჩამოსულმა ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია გლახუნა მგალობლიშვილისა და მისის დედის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ ყალბის საბუთების შედგენა. გლახუნა მგალობლიშვილს მოუსურვებია თავისის ცოლის მამული ხელში ჩაეგდო და თავისს გამოზედ ეხმარნა. ცოლსაც ბევრი ეხვეწა, თურმე, დამიმტკიცე შენი მამულიო, მაგრამ ცოლი არ დაყაბულებულა. გლახუნამ, კანონიერად რომ ვერა გააწყო რა, ეშმაკობას მიმართა. ერთს დღეს წამოიყვანა თავისი დედა, მიიყვანა ოზურგეთის ნოტარიუსთან და უთხრა: ეს ჩემი ცოლია და უნდა თავისი ქონება მე დამიმტკიცოსო. ნოტარიუსმაც ქაღალდი გაუკეთა. წამოვიდა გლახუნა ირხეინად სახლში და მოსდგა ცოლის მამულის ფლანგვას. ბოლოს, ცოლმა გაიგო ქმრის ოინი და სასამართლოში უჩივლა, დამღუპა და დამანელა ჩემმა ქმარმაო. აღიძრა საქმე. ამასობაში გლახუნამ თქვენი ჭირი წაიღო და სამართალმა გლახუნას დედას მოსთხოვა პასუხი. როგორც ვსთქვით, ამ რამდენისამე დღის წინად გაირჩა მისი საქმე და მოხუცებულს დედაკაცს 20 წლით ციმბირში გადასახლება გადაუწ[illegible]

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ.

კაპარის კრეფვა და მომზადება თერგის ოლქში. თერგის ოლქში, ყიზლიარის მიდამოებში, მოდის ერთი ძვირფასი მცენარე სახელად კაპარი, რომელსაც დიდი ხმარება და გასავალი აქვს, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე შიდა რუსეთშიაც.

მაისის მიწურულს, ყიზლიარის მახლობლად, როდესაც თვალ-გადუწვდენელი სათიბები გადიხრუკება სიცხისაგან და დაუსრულებელს უდაბნოს წარმოადგენს, მაზედ აქა იქ მწვანე ბუჩქები, საყვარლად აყვავებულნი შორიდამვე იზიდავს მგზავრის თვალს. კაპარის აყვავება იწყება მაისის მიწურულიდამ და გრძელდება მთელი თიბათვე და მკათათვე. ამ დროსვე შეუდგებიან ხოლმე მისს მოკრეფასა და შენახვას. მაგრამ, რადგან გლეხთ არა სცალიანთ მაშინ და გართულნი არიან მინდვრათ მუშაობაში, ამიტომ მხოლოდ ბავშვები და დაქირავებული დედაკაცები ჰკრებენ, რომელთაც 80 კ.—1 მან. აძლევენ ხოლმე ფუთში; ორთა შუა რიცხვით, რომ ავიღოთ მთელს ზაფხულს თითო მათგანი მოაგროვებს ესე 20—30 ფუთამდის.

კაპარის მოკრეფვის შემდეგ, მის მომზადებას შეუდგებიან ხოლმე. კაპარს ბოჭკებში სდებენ და ამარილებენ. წყალს ასხამენ და მერე ზევიდამ რამე სიმძიმეს ადებენ. ერთის თვის შემდეგ, კაპარი მზად არის და საჭმელად იხმარება. საზოგადოდ, კაპარის მომზადება ძალიან ადვილია. ყველა გლეხკაცის ოჯახი ინახავს არა ნაკლებ 20 ფუთისას და შემდეგში ჰყიდის 3—4 მან. ამ გვარად იგებს 60—80 მანათს. დიდი ოჯახები-კი 450—600 მ. არა კმაყოფილდებიან ხოლმე. აქედგან აშკარად სჩანს, კაპარს ძალიან გასავალი აქვს და საჭიროა მის გამრავლებას გლეხკაცებმა დიდი ყურადღება მიაქციონ.

კაპარი უფრო ხშირად იცის სოფ. პატარა არეშის და სერებრიაკოვკის მახლობლად. სხვაგან-კი ძალიან იშვიათად ჰხვდება.

მთელს წელიწადში, ყიზლიარის მიდამოებში 5,000 ფუთამდის კაპარი გროვდება; 20,000 მანათისა. უმეტესი ნაწილი ადგილობრივ იხმარება, ზოგი-კი მიაქვთ ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზედ, სადაც ფუთი 8—10 მან. იყიდება. დიდმარხვაში ადგილობრივ მცხოვრებთა პირველს საჭმელს კაპარი შეადგენს, რომელსაც მრავალ-ნაირად ამზადებენ, უფრო-კი კაპარს ლობიოში ურევენ და ესრედ გაკეთებული საჭმელი მეტად გემრიელია.

ჩვენშიაც ბევრგან იცის კაპარი, უმთავრესად ქვემო-ქართლში, მაგრამ მისი ხეირიანად მომზადება და გაკეთება არავინ იცის და აბა ბაზარი რად ექნება. საჭიროა, რომ ჩვენმა გლეხმაც შეიგნოს ბუნებისგან მისთვის მინიჭებულ სიმდიდრეთა სარგებლობა და ჯეროვნად გამოიყენოს, თორემ აბ რას ჰგავს: ისევე მცენარე, რომელიც სხვაგან კარგ ფასში იყიდება, ჩვენში ტყუილად მოდის და ფუჭდება.

სამკურნალო ცნობა

სურდო. სურდო ისე ხშირად ჰხვდება კაცს და ადვილად გაივლის ხოლმე, რომ ავადმყოფობად არცკი სთვლიან. მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო, ადვილად გამვლელ სურდოზედ ითქმის. ზოგჯერ ისე მძნელდება სურდო, რომ ნამდვილ ტანჯვას აყენებს კაცს, სუნთქვას უშლის, თავს ატკივებს, ყნოსვას უკარგავს და სმენას უხშობს. ამასთანა სურდო ზოგჯერ მთელის კვირაობით გრძელდება, დრო-გამოშვებით ისევ ახლდება და ცხვირში მაძმაბები გამოდის. ძუძუს ბავშვებს ხომ ძალიან ტანჯვას აყენებს, იქამდისაც კი მიჰყავს ბავშვები, რომ ძუძუს წოვაც აღარ შეუძლიათ.

ჩვეულებრივი სურდო გაციებისაგან ჰხვდება კაცს. ქალებს კიდევ დედათ წესის დროს ემართებათ. სურდო სულ ადვილად გადაედება, ხელცახოციდგან, კოცნით და სხ.

სურდოს მოსარჩენად ცხვირის ნესტოები ქონით ან კოლდკრემით უნდა დაიზილოთ; ისვამენ აგრეთვე ტუჩებზედაც, რომ მაძმაბები არ გამოჭყაროს. თუ ძალიან გამძნელდა სურდო, მარილი უნდა გახსნათ წყალში და დაიზილოთ ისე ცხვირი. ამასთანავე სასმელი ე. ი. ღვინო, არაყი ცოტა უნდა იხმაროთ და წვნიანს საჭმელს უნდა ერიდოთ. დრო-გამოშვებით სურდოსთვის უნდა იხმაროთ ნიშადური, ან კარდის წყალი და სხვა კიდევ ამგვარი წამალი.

ედილი.

სამეცნიერო ცნობა

ჭიანჭველების ძილი. ამ ბოლო ხანებში ბუნების მეტყველებმა აშკარად შეამჩნიეს, რომ დრო გამოშვებითი შრომის შემდეგ, ჭიანჭველებსაც სძინავთ ხოლმე. მაკ კუკს უთვალყურებია ერთხელ დილის რვა საათიდგან შუადღის თერთმეტ საათამდის. თერთმეტ საათზედო, ამბობს მაკ კუკი,—ჭიანჭველების გროვა გაიბნა და რამდენსამე მათგანს ისევ ეძინათ; რომ ნამდვილად დავრწმუნებულიყავი ეძინათ თუ არა ამ ჭიანჭველებს, მე ავიღე ფრთის კალამი და ბუმბულიანი ბოლოთი ზურგზე გადავუსვი მძინარ ჭიანჭველას, მაგრამ იგი არ გაინძრა; მემრე კისრის სახსარში დავუწყე ფრთით ხეხვა, რითაც მსურდა გამომეწვია ღუტუნის გრძნობა ჭიანჭველის ნერვებშიო, მაგრამ ამოდ. სანამ ფრთა არ მოვაბრუნე და კალმის წვერი არ დავაჭირე ტანზედ, მანამდის არ გამოიღვიძა. გაიღვიძა თუ არა, თითქო ძილიდგან ვერ გამოერკვა: პირზედ ფეხები მიისვ-მოისვა, ფეხები გაჭიმა, წელში გაიზმორა და მერე მთქნარებაც დაიწყო. მე ეს ვსცადე მხოლოდ ორ მოდგმის ჭიანჭველებზედ და სინამდვილით შემიძლია ვსთქვა, რომ სხვებიც ამავე ბუნებისანი არიან. ფლორიდის მოდგმის დიდრონი, მეომარი ჭიანჭველები, როგორც შევნიშნე, უფრო ზანტი ტანისანი არიან და ამათ გაცილებით ღრმად და ხანგრძლივად სძინავთო. სხვათა შორის, ეს შევნიშნეო,—ამბობს იგივე ბუნების მეტყველი: ერთ ჯგუფს სძინავს, ხოლო მეორე ჯგუფი შრომობს. თქვენ ხედავთ, რომ ეს უკანასკნელნი ტვირთს ეზიდებიან მძინარ ჭიანჭველებს შუა, ხშირად მშრომელი ჭიანჭველა ზურგზედ უვლის მძინარს, ტვირთს აჯახებს, მაგრამ არცერთისთვის ამ შემთხვევაში უკმაყოფილების გამომეტყველება და მაგიერის გადახდი სურვილი არ შემიმჩნევია. თუ როგორმე გაიღვიძებდნენ, მდებარეობას გამოიცვლიდნენ და ისევ ღრმა ძილს ეძლეოდნენო. კუკი ფიქრობს, რომ ჭიანჭველებს ორთა შუა რიცხვით სამ-სამი საათი სძინავთ ხოლმეო.

იათეოზი.

წვრილი ამბავი

სოლომონ ბრძენი ფელდფებელის მუნდირში. ეხლახან ქალ. ეკატერინოსლავში ასეთი შემთხვევა მოხდა: ადგილობრივის ჯარის ერთს როტაში, ჯარის კაცს დაეკარგა ერთი თუმანი ფული. ფელდფებელმა გაამწკრივა მთელი როტა და ჰკითხავდა ყველას: ვინ აიღეთ ფული, დაუბრუნეთ პატრონსაო. არავინ გამოტყდა. მაშინ ფელდფებელმა უთხრა მათ: „გირჩევთ, გამოტყდეს ქურდი, თორემ მე ისეთი შელოცვა ვიცი, რომ აღმოვაჩენ ქურდსა და უფრო უარესად დავსჯიო“. მაინც არ გაამხილეს დამნაშავე. მაშინ ფელდფებელმა დაურიგა ყველას თანასწორი ჩხირები ლერწმისა და უთხრა: «აბა მიბრუნდით კედლისკენ, თავი მიაყრდნეთ კედელს, მე ლოცვას ვიტყვი და ქურდის ლერწამს ერთი გოჯი სიგძე მოემატებაო»—ჯარის-კაცები მიბრუნდნენ. ფელდფებელი დადიოდა და რაღაცას ბუტბუტებდა. მერე მოაბრუნა და ყველას ჩამოართვა ლერწმები. შეადარა ერთმანეთს. ერთი ჩხირი სხვებზედ ერთის გოჯით მოკლე აღმოჩნდა: ეს ქურდს მოეგონა, რომ შელოცვით გაიზდება და ისევ სხვების თანაბარი გახდებაო, ამ რიგად ქურდმა თვით გაამხილა თავის-თავი და კიდეც გამოტყდა.

მაჭანკლის საჩივარი. როსტოვში ერთმა ქალმა; ევდოკია ფილონოვისამ, საჩივარი შეიტანა ვასილ შიმორსკინზე, რომელსაც 61 მანათს ედავება სამაჭანკლოში. ფილონოვისა სწერს: შიმორსკინმა მთხოვა, ქალი ზინაიდა პონომარიოვისა გამირიგე და მზითვიდამ 3°/o მოგცემო. მეც გავურიგე; შიმორსკინმა 4,900 მანათი აიღო მზითვად, მაგრამ მხოლოდ 60 მანათი მომცა, დანარჩენს 97 მანათს კი აღარ მაძლევსო. მომრიგებელმა უკანონოდ სცნო ეს საჩივარი და საქმე მოსპო.

სალამოს დეპეშა

29 მარტი.

ᲢᲣᲚᲝᲜᲘ. 28 მარტს კუნძულ კრიტზედ გაგზავნილ იქმნა ქვეითა ჯარის ორი როტა პოდპოლკოვნიკის უფროსობით. ლევანტში ორი ნაღმიანი გემი მივიდა.

ᲙᲔᲚᲜᲘ. კანეიდგან დეპეშით იცნობებიან: „რადგან გუშის კისამოში ბერძნებმა განიზრახეს,—ადგილობრივ მეციხოვნე მხედრობის იმ რამდენისამე აფიცრისა და ჯარის კაცისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, რომელნიც ინგლისისა და ავსტრიის დროშათან ნავით ნაპირს მიადგნენ, და ხმელეთზედ გადასვლა უნდოდათ, ავსტრიის ჯავშნიანმა გემმა „კრონპრინცესა სტეფანიამ“ ბერძენთა ბანაკს ყუმბარები დაუშინა, დილა-ადრიან ზარბაზანთა გრიალი ისმოდა კისამოს მხრივ, სადაც დღეს მაჰმადიანთა სახლობანი გემებზედ უნდა გარდაიყვანონ კანეაში წასაყვანად“.

ᲕᲔᲜᲐ. გერმანელებმა ვოლფმა, ფუნკემ და შტეინვენდერმა ჩეხელების ენის შესახებ უკანასკნელ განკარგულების წინააღმდეგ პალატას წინადადება წარუდგინეს, რომლის განხილვას მაშინვე თხოულობდნენ. პალატამ, 221 ხმით 153-ს წინააღმდეგ, არ შეიწყნარა დაუყოვნებლივი საჭიროება ამ საქმის განხილვისა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „Times“-ს კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით აცნობებენ: „წარსულს კვირაში პორტამ სხვა სახელმწიფოებში მყოფთ თავისს წარმომადგენელთ სამი მიწერილობა გაუგზავნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბერძნეთის ჯარი კრიტიდგან გაყვანილ უნდა იქმნასო, და სჩივის, რომ იქაურ მაჰმადიანთ უსამართლოდ ექცევიანო: იმათ თოფ-იარაღს ართმევენ და ქრისტიანთ-კი ნება აქვთ, იარაღი იქონიონო.

„Daily Nevs“-ს კანეადგან ატყობინებენ: რუსეთის გემი „იმპერატორი ალექსანდრე II“ სუდის ნავთ-სადგურიდგან წასვლას აპირებს, რათა რეტიმნოში რუსეთის კონსული მიიყვანოს, რომელსაც კრიტის მეამბოხეთა წინამძღოლების ნახვა ჰსურს, რომ იმათ თვით მართველობის უპირატესობა განუმარტოსო. რუსეთის გემი „იმპერატორი ნიკოლოზ I“ სმირნას მიდის, რომ იქ სურსათი და ქვა-ნახშირი შეიძინოსო. ავსტრიის სამხედრო გემის „კრონპრინცესა სტეფანიას“ კაპიტანმა კისამოდგან მეამბოხეთაგან წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ დიდნი სახელმწიფონი მტრულად მოგვეკიდნენ, ჩვენ ისე მოვიქცევით, ვითომც იმათ ჩვენთან ომი ჰქონიათო. ყოველ მუდამ საათში ბრძოლას მოელიან. ხვალ ავსტრიის ადმირალი კისამოში მიდის.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. დმიტრი სტურძამ განაცხადა, რომ მეფემ კაბინეტის შედგენა მომანდოვო. როგორც იმის, ახალი სამინისტრო ხვალ წარსდგება პარლამენტის წინაშე.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. პორტამ ელჩებს აუწყა, რომ კომისიამ ტოკატში 250 კაცი დაატუსაღა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვისაო. შემდეგ პორტამ ელჩებს სთხოვა,—დიდნი სახელმწიფონი საბერძნეთ-კრიტის საქმეში ჩქარა ჩაერიონ, რათა ოსმალეთს მომქმედ ჯარის შენახვა ერთობ დიდხანს არ დასჭირდესო. თუ ისინი ამ საქმეში დიდხანს არ ჩაერევიან, რის გამოც ოსმალეთის უზენაეს უფლებას დაბრკოლება მიეცემა, ანუ იმათი ჩარევა უნაყოფო იქმნება, ოსმალეთი თხოულობს, რომ თავისუფლად მოქმედების ნება მომეცითო. ბოლოს ნათქვამია, რომ კრიტის თვით-მართველობამ ოსმალეთის უზენაესნი უფლებანი არ უნდა დაარღვიოსო.

კრიტის წყლებში მყოფ ესკადრათა უფროსი დაჟინებით თხოულობს, მშვიდობიანობისათვის საჭიროა, რომ ზღვის პირა ქალაქებიდგან ოსმალეული ემიგრანტები განძევებულ იქმნენო.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ᲕᲐᲚ. ᲒᲣᲜᲘᲐ.